სასიგნალო იარაღის ან/და ვაზნის გადატანა-გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვა

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით სასიგნალო იარაღის ან/და ვაზნის გადატანა-გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვის მისაღებად, ფიზიკურმა პირმა უნდა მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „მომსახურების სააგენტოს“.

ნებართვის მაძიებელმა სააგენტოში უნდა წარადგინოს:

- განცხადება, რომელიც უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
- განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;
- მოთხოვნას;
- განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას.

ამასთან, სასიგნალო იარაღის ან/და ვაზნის გადატანა-გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა პირმა სსიპ - მომსახურების სააგენტოში უნდა წარადგინოს:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი;
- განცხადება, რომელშიც მითითებულია სასიგნალო იარაღის ან/და ვაზნის შენახვისა და მიტანის ადგილი, გადაადგილების დრო და მიზანი, გადასატან-გადასაზიდი, გადასაგზავნი იარაღის ან/და ვაზნის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (მარკა, მოდელი, ნომერი, კალიბრი, რაოდენობა და ა. შ.);
- სასიგნალო იარაღის ან/და ვაზნის კანონიერად ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ერთჯერადი გამოყენების სასიგნალო იარაღის შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილი პირის თანხმობა და საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დასკვნა, რომ აღნიშნული იარაღი წარმოადგენს ერთჯერადი გამოყენების სასიგნალო იარაღს;
- სასიგნალო იარაღის ან/და ვაზნის გადატანა-გადაზიდვისთვის ან გადაგზავნისათვის პასუხისმგებელ პირთა მონაცემები;
- ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მონაცემები, რითაც ხორციელდება სასიგნალო იარაღის ან/და ვაზნის გადატანა-გადაზიდვა ან გადაგზავნა;
- ნებართვისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

სასიგნალო იარაღის ან/და ვაზნის გადატანა-გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვა გაიცემა არაუმეტეს სამი თვის ვადით.

აღნიშნულ ნებართვას არ საჭიროებს ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის მიერ თითოეულ ჯერზე სასიგნალო იარაღის არაუმეტეს 10 ვაზნის გადატანა-გადაზიდვა.

სასიგნალო იარაღის ან/და ვაზნის გადატანა-გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვისთვის დადგენილი სანებართვო მოსაკრებელი ფიზიკური პირისათვის განსაზღვრულია 6 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისათვის - 12 ლარის ოდენობით.

ნორმატიული აქტები

- ✓ საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“
  https://www.matsne.gov.ge/document/view/26824?publication=120

- ✓ საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“
  https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=93

- ✓ საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“
  https://matsne.gov.ge/document/view/14944?publication=86
- ✓ საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“
  https://matsne.gov.ge/document/view/23230?publication=40

- ✓ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 21 სექტემბრის N162 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის წესისა და დამატებითი პირობების დადგენის შესახებ“
  https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/10426?publication=10